KA030130612021319

№ 01-437 **18 / იანვარი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

მინისტრის მოადგილის გიორგი წოწკოლაურის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

როგორც მოგეხსენებათ, 2018 წლის 14 დეკემბერს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, საქართველოში მყოფი საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის ხელშეწყობაზე და შესაბამისად, ასიგნებების განკარვაზე პასუხისმგებელ უწყებად განისაზღვრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2018 წლის ბოლოს განხორციელებულმა ცვლილებამ ვერ ჰპოვა შესაბამისი ასახვა „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში.

აღნიშნულიდან გამომდინარე „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განხორციელებული ცვლილების საფუძველზე უნდა აისახოს „საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამა. სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათით აღნიშნული აქტივობების განხორციელებისათვის მოთხოვნილია თანხა - 82 000 ლარის ოდენობით, კერძოდ: 32 000 ლარი ინტეგრაციის ცენტრის შენახვის ხარჯისათვის და 50 000 ლარი უშუალოდ საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის უზრუნველყოფისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა“ პროგრამისათვის 82 000 ლარის მოძიება, ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ განხორციელდეს „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების“ პროგრამაში მოსალოდნელი რესურსის ფარგლებში.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაიგზავნება წერილი, ბიუჯეტის ასიგნებებში ცვლილებების განხორციელების შესახებ.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

გიორგი წოწკოლაური